2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ

2022 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს 14 ამოცანას. სამოქმედო გეგმის თითოეული ამოცანა ჩაშლილია აქტივობებად, გაწერილია თვეების მიხედვით, გეგმაში ჩაშლილია ინფორმაცია პასუხისმგებელი, შემსრულებელი და საქმიანობაში ჩართული პირების, საჭირო რესურსებისა და ინდიკატორების შესახებ. სამოქმედო გეგმის შესრულება წინასწარ დაგეგმილ ვადებშია განსაზღვრული, მისი შესრულება კი დამოკიდებულია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებზე. სამოქმედო გეგმის ანგარიშის სტრუქტურა განისაზღვრა იმ მიზნით, რომ დადგინდეს, რამდენად შესრულდა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანები, იყო თუ არა ხელისშემშლელი მიზეზი, რამ გამოიწვია ამოცანების შესრულება თუ შეუსრულებლობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტორი, რომელიც წინასწარ არ იყო გაწერილი და მისი შესრულება გახდა საჭირო. წარმოგიდგენთ თითოეული ამოცანის შესრულების მაჩვენებლებს პროცენტებში და არსებობის შემთხვევაში შეუსრულებლობის მიზეზებს.

ამოცანა	შესრულება პროცენტებში	შეუსრულებელი ამოცანის შესრულების ახალი ვადები	შეუსრულებლობის მიზეზი
1. 1. თეგეტა აკადემიის საქმიანობის მხარდამჭერი სამართლებრივი ბაზის შექმნა და განვითარება	100%	პერმანენტულად ხორციელდება	
1.2. საქმისწარმოების პროცესის მუდმივი განვითარება	100%		
1. 3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება	90%[1]	2022 წლის დასაწყისი	
1. 4. IT მხარდაჭერის სისტემის განვითარება	100%		
1.5. მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება	90%		
2.1. სასწავლო პროცესის მართვა და ადმინისტრირება	95%		
2.2. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი	0%[2]	2023 წლის მაისი	იხ. სქოლიოში

[1] სასწავლო პროცესის ვადების ცვლილების გამო კვლევის ჩატარება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ჩატარებულიყო 2022 წელს

2.3. 2022 წლის ნაკადის მიღება	100%	2023 წელს განხორციელდება ძირითადი სწავლება	
3.1. ჯანმრთელობის, წესრიგისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა	100%		
4.1. პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა	100%	2022-2024 წლის სასწავლო წელს	ხელშეკრულების გაფორმებისას განესაზღვრათ უფლებები და გაეცნნენ შიდა რეგულაციებს
5.1. განათლების საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირების უზრუნველყოფა	90%		საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირების უზრუნველყოფის ყველა არსებული შეთავაზება არის განხორციელებული
5.2. კერძო კოლეჯების ასოციაციასთან და პარტნიორ კოლეჯებთან თანამშრომლობა	90%		
6.1. კომპანია თეგეტა რითეილთან თანამშრომლობა	100%		
6.2. ფინანსური მდგრადობა	90%		

1.1 თეგეტა აკადემიის საქმიანობის მხარდამჭერი სამართლებრივი ბაზის შექმნა და განვითარება - სტუდენტთა მიღებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით აკადემიაში გათვალისწინებული იქნა ის რეგულაციები, რომელთან დაკავშირებითაც ცვლილებები განხორციელდა კანონმდებლობაში. შესაბამისად, ცვლილებები შევიდა შიდა სამართლებრივ აქტებში და შესაბამისობაში მოვიდა კანონმდებლობასთან. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა და მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებით.

1.2. საქმისწარმოების პროცესის მუდმივი განვითარება - თეგეტა აკადემიაში მოქმედებს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია. საქმისწარმოება ელექტრონულ ფორმატში მიმდინარეობს, ცენტრთან და სხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობა წარმატებით ხორციელდებოდა, რომელიც ასევე, ელექტრონულ ფორმატში მიმდინარეობა წლის მანძილზე. გაიზარდა ელექტრონული

პლატფორმების როლი დაწესებულებაში, განახლდა ბაზები, წლის ბოლოს გააქტიურდა ელექტრონული ჟურნალი.

1.3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება - თეგეტა აკადემია დემინგის ციკლის შესაბამისი ქმედებებით ახორციელებდა სამუშაოებს. წლის მანძილზე ცვლილება განხორციელდა სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის სამსახურში, კერძოდ, შეიცვალა ძველი თანამშრომელი ახალი კადრით. აკადემიაში სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები, დაიგეგმა ახალი სასწავლო წლისთვის მზადება, განახლებული წესით სტუდენტების მიღება, განხორციელდა ცვლილებები, როგორც დოკუმენტურად, ისე შიდა პროცესებთან დაკავშირებით. კარიერული განვითარების სამსახურის მიერ შედგა კითხვარები და ჩატარდა გამოკითხვა კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ.

1.4. IT მხარდაჭერის სისტემის განვითარება - წლის მანძილზე სრული მხარდაჭერა ჰქონდა აკადემიას, განსაკუთრებული დახმარება გაიწია სტუდენტთა მიღების (გასაუბრებების) ეტაპზე, როდესაც სრული დატვირთვით მუშაობდა IT სპეციალისტები გასაუბრების უხარვეზოდ წარმართვისთვის, ვინაიდან აპლიკანტთა ქულები პლატფორმაში ისახებოდა გასაუბრების დასრულებისას. აღნიშნული ამოცანა ეხმიანებოდა პერსონალის მონაცემდა დაცვას, რაც უხარვეზოდ მიმდინარეობდა

1.5. მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება - აკადემიის მიერ 2021 წლის კურსდამთავრებულთათვის დაჯილდოების ღონისძიება მოეწყო, რომელთაც პროფესიულ დიპლომებთან ერთად გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები დაწესებულებისგან. მარკეტინგის სამსახურის მიერ ასევე დაიგეგმა ახალი ნაკადისთვის სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით გაცნობითი სახის ღონისძიება, სადაც სტუდენტებს შეხვდა და გაუმასპინძლდა თეგეტა აკადემიის პერსონალი და ზოგადი ინფორმაცია მიეწოდათ როგორც დაწესებულებაზე, ისე პროგრამასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა აკადემიის ვებ-გვერდი, რომლის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეწოდებოდა საჭირო და უტყუარი ინფორმაცია, ვებგვერდზე მუდმივად თავსდებოდა განახლებული ინფორმაცია დაწესებულების შესახებ. აქტუალური იყო სოცმედიის როლი, რომელიც განსაკუთრებით დატვირთული იყო რეგისტრაციის პროცესში.

2.1. სასწავლო პროცესის მართვა და ადმინისტრირება - როგორც აღინიშნა, 2022 წლის მანძილზე აკადემიაში არ ხორციელდებოდა პროფესიული სწავლება, მხოლოდ წლის ბოლოს დაიწყო სწავლა დუალურ პროგრამაზე „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, რომლისთვისაც განხორციელდა სასწავლო პროცესის დაწყებისთვის აუცილებელი აქტივობები, გაიწერა ცხრილები, იმ რამდენიმე მოდულზე, რომელიც სწავლის დაწყების პირველ ეტაპზე დაიწყო, შეთანხმდა შეფასების ინსტრუმენტები.

2022 წელს შევიდა ცვლილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში (ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება), კერძოდ, შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლოგეგმა, ასევე ჩატარდა შესარჩევი გასაუბრებები პროფესიული მასწავლებლობის

კანდიდატებთან, რომლის შემდეგ ზოგიერთ მოდულზე შეირჩა ახალი მასწავლებლები. აღნიშნულის შედეგად, ამ ეტაპზე, პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლები. კვლავ ძალაშია და მოქმედებს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის პარტნიორ კომპანიასთან, რომელიც მზად არის მიიღოს პროფესიული სტუდენტები პრაქტიკის შესასწავლად, შესაბამისად, სწავლის დასაწყებად აღნიშნული ფაქტორი სრულიად გამართულია.

აკადემიაში ცალკე გამოიყო არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტის ფუნქციები. არაფორმალური განათლების აღიარების ერთ მაძიებელს კომისიის მიერ სრულად უღიარდა კრედიტები და ინფორმაცია აისახა შესაბამის ელექტრონულ ბაზაში.

2.2. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი - 2022 წელს ახალი ნაკადის მიღებამდე არ განხორციელებულა სასწავლო პროცესი, წინა ნაკადის დამამთავრებელი პერიოდი იყო 2021 წლის დეკემბერი, კოლეჯს არ ჰქონდა ახალი ნაკადის მიღების უფლება 2022 წლის მიღებამდე, შესაბამისად, ვერ განხორციელდა პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება. წლის ბოლოს აკადემიაში ჩატარდა ინვენტარიზაციის პროცესი.

2.3. 2022 წლის ნაკადის მიღება - შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმით 2022 წელს არ იყო დაგეგმილი სტუდენტთა მიღება, იქიდან გამომდინარე, რომ პანდემიით გამოწვეული მიზეზების გათვალისწინებით წინა ნაკადის სასწავლო პროცესის ვადები იქნა შეცვლილი, 2022 წელს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ რეგისტრაციაში ჩაერთო თეგეტა აკადემიაც და მიღება გამოაცხადა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, 15 სტუდენტზე. შესაძლოა ითქვას, რომ აღნიშნული ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ამ წლის. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ შერჩევის ორეტაპიანი მეთოდი ჩატარდა: ტესტირება და გასაუბრება, საიდანაც 15 საუკეთესო სტუდენტს მიენიჭა თეგეტა აკადემიის სტუდენტის სტატუსი და შესაბამისი ინფორმაცია აისახა ელექტრონულ ბაზაში. აკადემიამ წარმატებით განახორციელა სტუდენტთა მიღების ყველა ეტაპი.

3.1. ჯანმრთელობის, წესრიგისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა - 2022 წელს აკადემიის ადმინისტრაციას ჩაუტარდა ტრენინგი „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი“, რომლითაც თითოეული თანამშრომლისთვის დეტლურად იყო აღწერილი უსაფრთხოების ნორმები და მათი დაცვის საშუალებები. აღსანიშნავია, რომ თეგეტა აკადემიაში სრულად არის დაცული შრომის უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო პირობები, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება აკადემიის აქტებში.

4.1. პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა - 2022 წლის მანძილზე აქტიური სტუდენტები არ ჰყოლია დაწესებულებას. მხოლოდ წლის ბოლოს მიღებულ ახალ სტუდენტებს ხელშეკრულების გაფორმებისას განემარტათ მათი უფლება-მოვალეობები და გაეცნნენ დაწესებულების შიდა რეგულაციებს.

5.1. განათლების საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირების უზრუნველყოფა - საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირების უზრუნველყოფის ყველა არსებული შეთავაზება არის

განხორციელებული. ელექტრონულ პლატფორმაში ასახულია ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაწესებულების, პერსონალის, პროგრამების, სტუდენტების და სასწავლო პროცესის შესახებ.

5.2. კერძო კოლეჯების ასოციაციასთან და პარტნიორ კოლეჯებთან თანამშრომლობა - პარტნიორ კოლეჯებთან, ასევე ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმი ძალაშია და მოქმედებს, ყოველწლიურად მეტად აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს თანამშრომლობა. 2022 წელსაც ასოციაციის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში აქტურად იყო ჩართული თეგეტა აკადემია, მიიღო მონაწილეობა ყველა სახის შეხვედრაში და მიღებული ინფორმაცია იქნა გაზიარებული აკადემიის მიზნებისთვის.

6.1. კომპანია თეგეტა რითეილთან თანამშრომლობა - პარტნიორ კომპანია თეგეტა რითეილთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის თანამხმადაც იგი სწავლების პრაქტიკულ ნაწილს ახორციელებს. აღნიშნული ხელშეკრულების გათვალისწინებით, პარტნიორ კომპანიასთან შეთანხმებით, აკადემიის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა პრაქტიკული სწავლების ვადები. მოგეხსენებათ, 2022 წელს პრიორიტეტული პროგრამების სიაში შევიდა აკადემიის სამივე ავტორიზებული პროგრამა და დაფინანსდა თეორიული მოდულები, სწორედ აღნიშნულ ფაქტს დაუკავშირდა თეგეტა აკადემიასა და თეგეტა რითეილს შორის მნიშნელოვანი შეთანხმება პრაქტიკული ნაწილის დაფინანსებასთან დაკავშირებით თეგეტა რითეილის მხრიდან, შესაბამისად, 2022 წელს ჩარიცხულ სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა სრულიად უფასოდ ესწავლათ დუალურ პროგრამაზე „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.

6.2. ფინანსური მდგრადობა - თეგეტა აკადემიამ განახლებული ფინანსური ანგარიშებიდან გამომდინარე, ობიექტურად შეაფასა და დეტალურად გაწერა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2022 წელს თეგეტა აკადემიამ პირველად მოიპოვა სახელმწიფოს ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც მიემართა სასწავლო პროცესისთვის აუცილებელ ხარჯებში. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იყო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულება.

სამოქმედო გეგმის განხილვისას ყურადღება გამახვილდა აკადემიის ბათუმის ლოკაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყო კონკრეტული ქმედებების განხორციელება, არ განხორციელებულა დაგეგმილი ამოცანები, ამიტომ დღის წესრიგში დადგა ბათუმის საკითხის გადაწყვეტა მენეჯმენტის მიერ, რის შესახებაც შეხვედრები დაიგეგმა მომავალი წლის დასაწყისიდანვე.

2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების განხილვა მოხდა 20 დეკემბერს, შპს „თეგეტა აკადემიის“ ადმინისტრაციის წევრების მონაწილეობით, ყურადღება გამახვილდა შესრულების და შეუსრულებლობის მიზეზებზე, საქმიანობის გუნდურად მიდგომის დადებით მხარეზე, 2022 წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, პროფესიულ მასწავლებლებზე, სასწავლო პროცესზე, ინფრასტრუქტურასა და სასწავლო მასალების არსებობაზე.